სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

94963659658411

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110017809

რეგისტრაციის თარიღი

11.01.2011 წ

ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია

მისამართი: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული

ტელეფონი: 893 127322

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge

ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას თერთმეტი წლის თერთმეტ იანვარს მე, ქეთევან გრიგოლიას, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე, მომმართა **რუსეთის ფედერაციის მოქ. გელაშვილი სოსო რომანის ძემ**, რომელსაც სურდა **თენგიზ გელაშვილისთვის** უფლებამოსილების მინიჭება, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დაეწერშენდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **რუსეთის ფედერაციის მოქ. გელაშვილი სოსო რომანის ძემ** (დაბ. 10.08.1963წ. აფხაზეთში. პასპორტი 71 0662604, გაც. 13.05.2010წ. ფმს 72004-ის მიერ. პირადი განცხადებით მცხ. რფ ტიუმენის ოლქი, ქ. იშიმი, სუვოროვის ქ. სახლი 27, ბინა 20).

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები **მოქ. გელაშვილი სოსო რომანის ძეს**. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თერთმეტი წლის თერთმეტ იანვარს **რუსეთის ფედერაციის მოქ. გელაშვილი სოსო რომანის ძემ** (დაბ. 10.08.1963წ. აფხაზეთში. პასპორტი 71 0662604, გაც. 13.05.2010წ. ფმს 72004-ის მიერ. პირადი განცხადებით მცხ. რფ ტიუმენის ოლქი, ქ. იშიმი, სუვოროვის ქ. სახლი 27, ბინა 20) წინამდებარე მინდობილობით **თენგიზ გელაშვილს** (დაბ. 31.07.1958წ. სოხუმში, პირ. მოწმ. №20154730, პირ. №01007006404, გაც. 06.06.1997წ. თბილისის დიდუბის რაიონის VII მეორე ქვეგანყოფილების მიერ. მცხ. თბილისი, აღლაძის 38, ბინა 91) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **თენგიზ გელაშვილი** უფლებამოსილია **გელაშვილი სოსო რომანის ძის** სახელით შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება. **თენგიზ გელაშვილი** უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ დაადგინოს უძრავი და მოძრავი ქონების შეძენის პირობები, მათ შორის გარიგების ფასი, უფლებამოსილია გასცეს ნებისმიერი თანხა, რაც დაკავშირებულია უძრავი და მოძრავი ქონების შეძენის უფლების რეალიზაციასთან, ამასთან დაკავშირებით იყოს წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქონების მართვის სააგენტოში, მერიაში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, გამგეობაში, ნებისმიერ ბანკში, შსს მომსახურების სააგენტოში (საპატრულო პოლიციაში), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში), სანოტარო ბიუროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, აწარმოოს მოლაპარაკება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, გააკეთოს აზომვითი ნახაზი, ხელი მოაწეროს ნასყიდობის ხელშეკრულებას და სხვა შესაბამის ხელშეკრულებებს, ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოებში დაარეგისტრიროს უძრავი და მოძრავი ქონება (ხელშეკრულება), წარადგინოს განცხადებები, ცნობები, საბუთები, მიიღოს ცნობები, საბუთები, მიიღოს ამონაწერი, საკადასტრო გეგმა, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც საჭიროა ამ დავალების შესრულებასთან დაკავშირებით.

თენგიზ გელაშვილი უფლებამოსილია მართოს და განკარგოს **გელაშვილი სოსო რომანის ძის** საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება თავის თავთან გარიგების დადების უფლებით, „მინდობილი მესაკუთრე“ უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ დაადგინოს უძრავი და მოძრავი ქონების მართვის და განკარგვის (გაყიდვის, ჩუქების, გაცვლის, გაქირავების, იჯარით გაცემის, იპოთეკით, გირავნობით დატვირთვის, გამოჯვნის, იპოთეკის და გირავნობის გაუქმების) პირობები, მათ შორის გარიგების ფასი, ხელი მოაწეროს ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის, ქირავნობის, იჯარის, იპოთეკის, გირავნობის, გამოჯვნის, იპოთეკის და გირავნობის გაუქმების ხელშეკრულებას. **თენგიზ გელაშვილი** უფლებამოსილია მიიღოს და გასცეს ნებისმიერი თანხა, რაც დაკავშირებულია უძრავი და მოძრავი ქონების მართვის, განკარგვის და შესაბამისი უფლების რეალიზაციასთან. ამასთანავე **თენგიზ გელაშვილი** უფლებამოსილია „საკუთრების მიმნდობი“-ს სახელით მიიღოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერი, შეკრიბოს ყველა ცნობა და საბუთი, რაც საჭიროა უძრავი და მოძრავი ქონების მართვის, განკარგვის და შესაბამისი ხელშეკრულების რეგისტრაციასთან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სხვა ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოში, უფლებამოსილია გააკეთოს აზომვითი ნახაზი, მიიღოს ამონაწერი, უფლებამოსილია იყოს წარმომადგენელი მერიაში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, გამგეობაში, არქიტექტურის სამსახურში, შსს მომსახურების სააგენტოში (საპატრულო პოლიციაში), საგადასახადო ინსპექციაში, სანოტარო ბიუროში, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, აწარმოოს მოლაპარაკება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, წარადგინოს განცხადებები, ცნობები, საბუთები, მიიღოს ცნობები, საბუთები, დადოს, შეცვალოს, გააუქმოს ხელშეკრულებები და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს, ხელი მოაწეროს საჭირო საბუთებს, შეასრულოს კანონით დადგენილი ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც საჭიროა მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

2. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

3. **გელაშვილი სოსო რომანის ძე** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება. გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე **თენგიზ გელაშვილი** ვალდებულია დაუყონებლივ შეწყვიტოს მინდობილობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთარსებული ყველა ეგზემპლარი დაუბრუნოს **გელაშვილი სოსო რომანის ძეს**.

4. ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები მოქ. **თენგიზ გელაშვილმა** არ შეიძლება გადასცეს სხვა პირებს თავისი შეხედულებით შემდგომი გადანდობის უფლებით.

5. მინდობილობა შედგენილია ექვს თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება ქეთევან გრიგოლიას სანოტარო საქმეებში, ხოლო ხუთი გადაეცა მიმნდობს.

„მიმნდობი“ გელაშვილი სოსო რომანის ძე

ნოტარიუსის საზღაური:
სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი11 ივნისი 1998 წ. №1417 მუხლი 2ე 7 – 31.1 პუნქტი 1 – თორმეტი ლარი.

ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაათ იანვარს მე, ქეთევან გრიგოლია, ნოტარიუსი ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას №45, მე-3 სართულზე, ვამოწმებ სანოტარო არქივში დაცული მინდობილობის №110017809 ფოტრასლის სისწორის შესაბამისობას დედანთან.

ნოტარუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 31.6 და 39.1 მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად – ერთი ეგზემპლიარი, სამი ლარი + დღგ ორმოცდათოთხმეტი თეთრი + სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური ორი ლარი სულ ხუთი ლარი და ორმოცდათოთხმეტი თეთრი.

ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია

საქართველო. ნოტარიუსი. GEORGIA. NOTARY

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140080065
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.01.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ან ამონაწერის გაცემა
ნოტარიუსი	ქეთევან გრიგოლია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593 127322
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური წომერი	86596497339014

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18